


572  
1967



1963 სექტემბერი

# ქვეყნის მეგობარი

№ 9



# პირა

## რის სიბრძნეა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი. ამ ბიჭს უცნაური ჩვეულება ჰქონდა: ისე ხმას არ ამოიღებდა, „ვიცი“ არ ეთქვა. დატუქავდნენ—ვიციო, ამბობდა, აქებდნენ—ვიციო, გაიძახოდა. მოდა, სწორედ ამის გამო მისი ნამდვილი სახელი დაივიწყეს და ვიცი შეარქვეს. ცოტა რომ წამოიზარდა, სწავლა დაიწვებინეს, მაგრამ შრომა და გარჯა არ უვარდა და ყოველთვის სხვისი მოიმიედ იყო.

ერთ დღეს ვიცი შევიდა თავის საყლის ოთახში და რას ზედავს!

ზ ღ ა პ ა რ ი

ნაბატეი მ. შხაძემსა



„ვიცი“ ს  
კონსტანტინე ბაბაჯანიანი

3963

— ის დედაშენებო უბნეში, რომ მტვრად ვეცევი, გირჩენია ჩანთაში გამოიწახო ადგილი.

ვიციმ ცარცი მანინე ჩანთაში მოათავსა. ართმეტაკის გაკეთილზე მასწავლებელმა ვიცი დფესთან გაიძახა. თავისი ჯადონური ცარცის დახმარებით ვიცი უშეცდომოდ და სწრაფად ანგარიშობდა. მთელი კლასი გაკვირვებული უდევრდა მას.

შეორე დღეს ვიცი ოთახში უფრო უცნაურ ამბავს წააწუდა. ზედავს: კალამი მისჩიალუბს რვეულის ფურცელზე წრიკინით და თითქმის მიივები აასხესო ძაფზე, აფვირისტებს მრგვალო, ლამაზ ასოებს.

— ოჰო, ეს რა ჯადონური კალამი ვიკოვნე,—გაიფიქრა ვიციმ და თითქო კვერცხი ექირა ზელში, ფრთხილად და გულმოდგინედ შეინახა ჩანთაში.

ვიცი თავს ზედნიერად სთვლიდა, მაგრამ მისი სიბარული ხანმოკლე გამოდგა.

ერთხელ ვიცი ზიღნე რომ გდიოდა, ჩანთა გაუფარდა და მდინარემ გაიტაცა. ჯადონური ცარცი და კალამიც თან მიჰყვა. ვიცი ძლიერ დილონდა და ის იყო გორილი უნდა დეწუო, რომ უცებ წყალი აქაფდა, ბაზუბუფდა და გამომნდა მოხუცი.

— შე უველა მდინარის უფროსი ვარ,—თქვა მოხუცმა მუტუტით,—რადა ხარ მოწყენილი? ვინ გაწყენინა?

ვიციმ უველაფერი უამბო მოხუცს.

— ეგ არაფერია, უველა თევზს და ქუას ვუბრძანებ დეფუფენებლოვ შეუდგენე შენი ჩანთის ძებნას, შლამის კვეშაც რომ იყოს მიყოლილი, ჩემი ხელქვე-

თები მინე იპოვინან, მხოლოდ უნდა გიგო, რატომ აკაუნებს ზეზე კოდლა.

ვიცი სიაშოვნებით დაიანძმდა. იარა, იარა და წინ შემოეყარა კურადლეო.

— მოიბარი, ურეკვიტავ, რატომ აკაუნებს ზეზე კოდლა?

— იმიტომ, რომ, როცა გვიწანეს და მტერი გვიპარება, კაუნთი ვეფრთხილებს,





ვიციმ იმ მოხუცს თუთიყუ-  
შივით ჩაუკაკლა ბაყაყის ნათ-  
ქვაში.

— ვინ გითხრა რომ ეს სი-  
ნამდვილეა?

— ბაყაყმა!

— ბაყაყმა თავისთვის არა-  
ფერი იცის და შენ რას გას-  
წავლიდა. წადი, სხვას შე-

ეკითხე!

ვიცი უკან გამობრუნდა და რაგორც კ  
ტყეს მიუხლოვდა, მაშინვე შემოესმა კაკუ-  
ნი, მიჰყვა ამ კაკუნის ხმას და დაინახა ლა-  
მაში ფრინველი, ის გრძელ ნისკარტს ჩა-  
ქუჩივით ურტყამდა ხეს.

— მითხარი, ჩემო კოდალავე, რატომ აკა-  
კუნებ ხეზე?

— წადი, გამეცალე აქედან, ხელს ნ  
მიშლი მუშაობაში!—ჩამოსძახა ხიდან კო-  
დალამ.

გაწბილებული ბიჭი გაცვალა იქაურო-  
ბას და ფიქრს მიეცა, რა პირით შეხვედ-  
როდა წყლის მოხუცს.

ამ დროს ვიცის ნიავმა წაუჩურჩულა:

— მიდი შინ, იქ ყველაფრის მცოდნე  
ბრძენი დაგხვდება, შეეკითხე მას და მის-  
გან ყველაფერს გაიგებ.

გახარებული ბიჭი შინისაკენ გაქანდა.  
შევარდა სახლში, მიათვალაიერ-მოათვალაიერ-  
რა ყოველი კუნჭული, მაგრამ ვერაფერ და-  
ინახა.

უცებ ვიცის უცნაური სიმღერა შემო-  
ესმა:

მოდი ჩემთან, ვიცი,  
ყველაფერი ვიცი!

ეს უცნაური მომღერალი წიგნი იყო, ამა-  
ყად გადაეშალა მსხვილი აპოგებით ნაბეჭ-  
დი ფურცლები და ფერად-ფერადი ნახატე-  
ბით თავს იწონებდა.

— მაშ შენ ყველაფერი იცი?—შეეკით-  
ხა ბიჭი წიგნს.

— მკითხე და ყველაფერს გეტყვი!—უპა-  
სუხა ფურცლების შრილობით წიგნმა.

არიქა, თავს უშველეთო,—უპასუხა კურდ-  
ლელმა:

ვიცი მდინარისაკენ გაიქცა და წყლის მო-  
ხუცს სიტყვა-სიტყვით გადსცა კურდღლის  
ნათქვამი.

— ვინ გითხრა, რომ ეს ნამდვილად  
სწორია?

— კურდღელმა!

— კურდღელმა თავისთვის არაფერი იცის  
და შენ რას გასწავლიდა? წადი, სხვას შე-  
ეკითხე!

წავიდა ვიცი და ახლა ბაყაყს გადაეყარა.  
— მითხარი, ყიყინავ, რატომ აკაკუნებს  
ხეზე კოდალა?

— იმიტომ, რომ უნდა ძილი დაგვიფრთ-  
ხოს,—უპასუხა ყიყინით ბაყაყმა.

# შემოდგომა

ბიჭი წიგნს მიუჯდა. გადაშალა ერთი გვერდი, მერე მეორე, მესამე... დაიწყო ჩაძიება და კირკიტი. და რაც უფრო ბევრს კითხულობდა, მით უფრო მეტ ამბებს უყვებოდა წიგნი, ერთ ადგილზე ვიციმ ამოიკითხა: კოდალა კაკუნით მაგნე ტიების ადგილსამყოფელს იგებს და სპობსო.

— აი, თურმე რატომ აკაკუნებს კოდალა,—გაიფიქრა ვიციმ და წყლის კეთილ მოხუცს მიაკითხა. ვიციმ მას სიტყვა-სიტყვით გადასცა წიგნში ამოკითხული სიმართლე.

— ახლა კი ნამდვილად ყოჩაღი ბიჭი ხარ!—უთხრა კმაყოფილმა მოხუცმა ვიცის.

— პირობაზე როგორა ხართ, კეთილო ბაბუა, მიპოვნეთ თუ არა ჩანთა?

— შენ ისეთი ცოდნისათვის მიგიგნია, რომ ჯადოსნური ცარცი და კალამი აღარ დაგჭირდება,—უპასუხა მოხუცმა ვიცის და წყალში გაუჩინარდა.

## მარკელ ხაშთასი

შემოდგომა შემოდგა შრომით განახარები. ნალიებო, ბელლებო, გამოალეთ კარები.

მოაბიჯებს სიმინდი, შეუხსნია ლილები, უღვავებში იცინის, უჩანს თეთრი კბილები!

# ზეინკალი

## თინათინ ქვირიკაძე


გია ზეინკალია,  
ხელმარჯვე და მალია.

კარგად იცის ხელობა,  
უყვარს ჩხირკედელობა.

მანქანის რთულ ნაწილებს  
დაშლის, დანაწილებს.

მერე აწყობს ხელახლა.  
გაჩერებულს ვერ ნახავთ.

მოჭნილი და მალია,  
ბიჭი ზეინკალია.





ფინჯანი გადმოვარდა, იატაკს დაენახა  
ცხა და ღლიძისვრან.

გოგონამ დასამალად ოთახს მიაშუ-  
რა. კარი შედგო თუ არა, სარკიანი  
კარბდის წინ აღმოჩნდა. ბავშვმა სარკეს  
გახედა და თავის ქნევით ჰკითხა:

— ბაია, შენ ზისია კაბა გაქვს?  
სარკიდან ორეულმა თანხმობის ნი-  
შნად თავი დაუქნია.

თამრიკომ გაიღიმა და კვლავ ჰკი-  
თხა:

— ბაია, შენ ზისია ფანქები გაქვს?  
სარკიდან ორეულმაც ასევე უნახუსა.  
თამრიკომ კვლავ გაიღიმა, თვალები  
აუცრმეცმდა:

— ბაია, დედოკოს ღამაში ფინჯანი  
შენ გატყევე?

სარკიდან ორეულმაც თითი თამრი-  
კოსაკენ გამოიშვირა, თითქოს უსი-  
ტვეოდ უთხრა:

ვეთიან ხარისხილი

ნახატები ბ. ბარძინიშვილისა



ფართო აივნისე თამრიკო მარტო  
იჯდა და სათამაშოებით ერთობოდა.  
წუალი მოსწუროდა. ადგა, ფეხის წვერებ-  
ზე შედგა და წულით სავსე ფინჯანს  
მისწვდა, ნელ-ნელა გადმოაცურა, მაგრამ  
მაგიდის კიდესთან თითები დაუცდა,

— მე კი არა, შენ გატყევე!  
თამრიკომ საჩქაროდ შეაქცია ზურვი  
სარკეს!

# ჩქობი ვისა?

## 3. ასლამაზივილი

მამა იმ დღესაც ხელკარიელი არ დაბრუნებულა: გიგას ლურჯად შეღებილი თვითმკლავი ავტო მოუტანა, ხოლო ჟირაფივით გრძელისერა ექსკავატორით კაო გაახარა.

— წავალ, საშენ მასალას მოვზიდავ და სახლს ავაშენებ!—თქვა გიგამ და ავტომანქანა კუბიკებით გაავსო.

— მეც გიშველი ჩემი ექსკავატორით!—შესძახა კაკომ და ძმას ფეხდაფეხ მიჰყვა. მათ ჩაირბინეს ეზოში, ადგილი შეარჩინეს და გაჩაღდა მუშაობა.

ძმებმა ჯერ ფართო ქუჩა გაიყვანეს, ქუჩის ორივე მხარეს კუბიკებით ერთიმეორეზე შეაკაშეს და მრავალსართულიან

ნახატი პ. ბახარისი

სახლებად აქციეს. მათ ისე მოეწონათ ეს თამაში, რომ სახლების შენებას, ლამაზი ხეივნებით ქუჩების გამწვანებას და სასრული არ უჩანდა. აქა-იქ ქარხნის მილებსაც ამოეყვით თავები.

— ეს ქალაქი ვისია?—იკითხა მამამ, როცა ბავშვების ნახელავს დახედა.

— ჩემი და ჩემი ძმისაა!—მიუგო კაკომ და კოპწია ქალაქს ამყაღ დაღახედა.



# ფეხბურთი



ნახატი ბ. კონიანიძის

ბაიანა პარათაძის

ორი გუნდი შეიბა,  
მით ურუბებს რაღა სჯობს!  
ფეხბურთელი ირაკლი  
ჰქაც, იქაც თამაშობს.

ოსტატურად მოხაზა  
ორი გუნდის ადგილი.  
ბურთს ქარივით დააფრენს,  
ფეხბურთელი ნამდვილი.

ირაკლია მკაჩრე,  
და სწრაფი თავდასხმელიც,  
გატრეზარბიც ეს არის  
და ნახევარდამცველიც.



მონღოლებით იბრძვიან  
„ეხნიც“ და „იხნიც“,  
დაიღუნა მსაჯია,  
ზის და გულთი იცინის.

ცხარე ზაძილოთი გავიდა  
ეს მეორე ტაიმიც,  
და გუნდებმა თამაში  
დაამთავრეს უკიმიც.



## ბანეთიანი

ვატანგი ეფემი დიდდასთან წაიყვანა.  
ბიჭმა დიდდას უამბო, რომ მამამ თავისი  
სული წითელი თიხის დამაბი ყლანა გაუ-  
კეთა.  
— რისთვის აგროფებ ფულს? — შეეცითა  
დიდება შერიღვიღს.

— ფოტოაპარატი უნდა ვიყიდო. ზაფ-  
ხელში აგარაკზე ყველას გადავიღებთ სუ-  
რათებს! ზომ კარგია?  
— ძალიან, — მოუწონა დიდემ და ვა-  
ტანგს მანეთიანი ასუკა  
გაბარებული დაბრუნდა შინ ვატანგი.  
მაგრამ... ნახუქარი მანეთიანი ჯიბეში აღარ  
აღმოაჩნდა.  
ეფემი დატუქა:  
— აი, ასეთი დაუფეხარი ზარ. გულში  
ცხვრისაბოცი დაკარგე, დღეს მანეთიანი,  
ზეად ვინ იცის, რას დაკარგავ!  
ვატანგი თავდახრილი უსმენდა, მერე  
უცბად გაბრწყინებული თვალებით ედღას  
შეხედა:  
— ეფიკო, იმ მანეთიანს ვინც იპოვის,  
ისიც ზომ გაიხარებს!

ბაიანა



ნახატი ბ. კონიანიძის



მარი ბროსა

მარია ბებო შუა ეზოში ზედადგარზე სპილენძის დიდი თანგირა ქვაბი შემოაღვა.

— აბა, თათარა ვის უნდა! — დაიძახა და ხელეცდ დაიკაპინა.

ლია, დათო, ნანა, და ვანო ფრიაბულით შემოიხეცნენ ტბილით ხავეტ ქვაბს. — აბა, მანდ რა ორომტრიალია? — დობის იქიდან გამოსძახა მეზობელმა ელო ბებომ.

— თათარს ვაკეთებთ, ელო ბებო, თათარს, ჩურჩხელები უნდა გავაგლოთ, გადმობრძანდით ზედას! — არ დააკონცხა ბავშვებმა.

ელო ბებო გადმობრძანდა. — მერე თქვენ რა, ეხმარებით ბებოს თუ თათარს ჰეპის ელოდებით? — გადახებდა ბავშვებით ელო ბებომ.

— ველოდებით და ვებმარებით კიდევ! ამ ორომტრიალში მარია ბებომ ტბილი მოაღღა: მოდრეგულ ტბილს პერის ფევილიე მოიკიდა.

დგრილიდა საითარე კოვზი, იტრიალი, იმღერი იტრიალი ვაღრე თათარამ ასელი სიმღერა არ წამოიწყო. — ფაჰ, ფაჰ, ფაჰ ფაჰ... გაჯექელიდა, დაგშენილი, უკვე მზადა ვარო.

— აბა, ახლა კი დროა, მოაშადადეთ ჯოხები! — დაიძახა მარია ბებომ და ბავშვებმაც მანძივზე გრძელი ჯოხები მოარბინინეს ერთი მხარე სკამის თავზე დაუდეს, მეორე დედა ქეთონომ დაიპირა. ჯოხის ქვეშ ორო-

ნანტი გ. პალაშვილი

ში დაუდეს ჩურჩხელებს, — თათარს ჩიგბი რომ ჩასცივით, აქ დასხდებიანო.

მარია ბებომ ძაფზე მძივებით აკინძული ნიგოზი თათარით ხავეტ ქვაბში ჩაუშვა, კოვზით შიგ დაშალა და მერე ქვაბს ისევ უკან გამოსტაცა, თან დაეკოლა:

— უჰ, უჰ, რა ჩურჩხელა გამოვიდა! — მანძინ ნიგმაყ დაუბერა, ჩურჩხელა დაატრიალა: აბა, როგორი გამოხვედლი. ნიგმა ჩურჩხელა დაატრიალა და პატარა ნანაც დატრიალდა, ჩურჩხელა ისე ტრიალებსო.

დათომ თქვა: — რა გორგომპეკლა ჩურჩხელა გამოვიდაო.

გორგომპეკლა ჩურჩხელა ჯოხზე წამოაყვეს და ბოლოსკენ გასწიეს, მას ასტიოვე ლამაზად გავლებული სხვა ჩურჩხელებიც ჩოგრეობით მიჰყვნენ თან.

პატარა ნანა ახლა ორომთან ჩაუქუქდა, სწორედ იქ, სადაც ახალ გავლებულ ჩურჩხელებს თათარს ჩიგბი სცივითადათ. მერე და რა გემრიელი ჩიგბი!

გრძელი ჯოხები ვივისო ჩურჩხელებით, თათარით ხავეტ თევზები დარეგდა, ლიამ თათართან კოვზს დასტაცა ხელი, დათო ქვაბს მიუჯდა მოსალოკად. ჩურჩხელებით ხავეტ ჯოხები ეზოში მაღალ ხარბებზე გასდეს: გასაშრობად მშენ მიუფიცხეს.

— ეს რა მაღლა წასულან ჩურჩხელები! — მანძინ დაიუნწუნა ვანომ.

— შარშანაც გვეო ბოლოების მოკუნეგაო! — თითი დაუქნეს ბავშვებმა ვანოს.



# ტყევი

## ერთი წიგნია

ზაზა დღესაც ტყეში იყო,  
მაგრამ ზაზამ არ იცის,  
ტყეში ერთი წიფელია,  
იმ წიფელზე ყვავი ზის.  
ის ყვავი და ის წიფელი  
საუბრობენ ხანდახან:

— ეს სულ ზაზას ბრალი არის,  
ვაშლები რომ გადახმა.

— ესეც ზაზას ბრალი არის,—

ამბობს ყვავი ყვანჩალა,—

ის წიწილი, ნაბოლარა

გუბეში რომ დამხრჩვალა.

მოშირაღე ატმების ქვეშ

ვინ გაივლის კაკანით?

— ტკბილი ვაშლი აღარ უნდა?

— ანდა ქათმის ბარკალი?

— მოდი, ასე გაგაკეთოთ,—

წიფელს ეტყვის ყვანჩალა,—

ვიდრე სხვა ხე გადახმმარა

ან წიწილი დამხრჩვალა,

დავწეროთ და ჩხიკვის ხელით,

გავუგზავნოთ ბარათი:

შენი ცხენით, შენი თოფით,

შენი ჭრელი ხალათით,—

ბევრზე ბევრი რომ გვეხვეწო,

არ მოგიშვებთ ტყეშიო,

ან წალდი და ან შურდული,

თუ შეგნიშნეთ ხელშიო!

ქარლ კომბინძი



ტყეში, ნაძვის ძირას ტანმორჩილი, დიდძეცულა ნიყვი ამოსულიყო. ოდნავ ამობურცული ქული ვხურა. ქული ზემოდან მოლოურჯო ჰქონდა, ქვევიდან ნარინჯისფერი, მწვანე ლაქებით. სილამაზით დიდი ვერაფერი იყო. სხვა სოკოები დასციროდნენ, ჯუჯა ხარო. პატარა ნიყვი ითმენდა, მეტი რა გზა ჰქონდა. მოხუცი ნაძვი ამხნევებდა:—„სოკოები სილამაზით კი არა, გემოთი ფასობენო. ერთ მშვენიერ დილას ტყეში ბავშვები მოვლენ და პატარა კალათით შინ წაგიყვანენო“.

ამიტომ, როცა ამხანაგების დაცინვა გულს ატყენდა, ნიყვი ნაძვს შესჩივლებდა. ნაძვი ტოტს ხრიდა და განაწყენებულ პატარას ფრთხილად ეფერებოდა.—წიწვებით არაფერი ვატკინო.

# ნიყვი

— გუშინ მზემ,—ყვებოდა ბალახი,—ნამი ააორთქლა, დამცხა, წყალი მომწყურდა. ნიყვს ქულქვეშ ცვარი ჰქონდა გადანახული, დამაპკურა, წყურვილი მომიკლა.

ხეები თავებს არხვედნენ:—ამ პაპანაქებაში თავისთვის შემონახული ცვარი სხვისთვის გაუმეტებიაო.

იქვე, მდებარე მშვენიერი ციღამაყვანა იზრდებოდა. ქათქათა, წყურვეტ ფეხზე იდგა, თეთრწინწკლებიანი წითელი ქული ვხურა, ყელი კოხტად მოედერებინა. მის სილამაზეს ყველა შენატროდა. თითონ ხომ ერთთავად ნაკადულში იყურებოდა, კოპწიაობდა, თავისი მშვენიებით ამაყობდა და არავის არაფრად ავლებდა.

ციღამაყვანას ეგონა, აქაოდა ლამაზი ვარ, ყველას ეჯობივარო; განსაკუთრებით ნიყვს შეუჩნდა, შენი სიციხსლე რა სიციხსლეა, ერთი იცოდე, რასა გვეხარო... ბებერი ნაძვი ჩუმად შრივლებდა: „მაგ შხამსოკოს ლაპარაკი აინუნშიაც არ ჩაადო, კარგი და ავი მომავალში გამოჩნდებო“.

იმ დღესაც, მორჩა თუ არა კოპწიაობას, ციღამაყვანა ნიყვს შეუჩნდა თავისებურად:

— როგორ გიკითხო, ჯუჯავე?! ვის რად უნდისარ? მოვლენ ბავშვები, ვნახავთ ვინ დამაშვენებს კალათს...

ამ დროს ტყე ახმაურდა და მდებარე კალათებიანი ბავშვები შემოესივნენ. ბავშვებს დეიდა ნატო მოჰყვებოდა.

პატარა დათოს ციღამაყვანას სილამაზემ თავლი მოსტაცა, მოწყვეტა დაუპირა.

— რა ლამაზი სოკოა!—წამოიძახა მან. ციღამაყვანა სიამაყით აივისო:

— აი, ახლა ჩამდებენ კალათში და წამიყვანენ. ეს ღიბიანი ნიყვი და მისი მეგობრები კი შურიტ გულზე გასკდებიანო.



— ხელი არ ახლო, დათო!—დაიძახა დეიდა ნატომ.—ეგ სოკო შხამინია! შეხედეთ, ბავშვებო, რა ვიპოვე, ამ სოკოს კი ნიყვი ჰქვია. ნიყვი ძალიან გემრიელი სოკოა.

დათომ ფრთხილად მოწვეცა ნიყვი და კალათში ჩადო.

ბავშვები ბილიკს გაჰყენენ. მათ არ ესმოდათ როგორ იცინოდა ტყე; კისკისებდა პატარა ნაკადული, უღვავებში ეცინებოდა ბებერ ნაძვს.

შხამასოკო თავჩაქინდრული იდგა, ბოღმისა და სირცხვილისაგან გაწითლებული.

— „აღამიანს სილამაზე უყვარს, თუ მას თან სდევს სიკეთე და ყველასათვის სარგებლობა მოაქვს“, — დაიშრიალა მსოკვანმა ნაძვმა.

ეს ამბავი ენაჭარტალომა კაქკაქმა ქვეყანას მოსდო. აბა, კაქკაქის ენას რა გააჩერებდა?!

# ქ-ე-ნ-ი-ყ-ი

ჩაპუხ ბერძენი

მირბის წყარო, მიბუტბუტებს,  
ჩემსკენა აქვს ცალი თვალი,  
ჩემზე არის ალბათ მწყურალი,  
რომ წავართვი  
ქია წყალი.



# ხიდი



კოკისპირულმა წვიმამ რომ გადაიღო, ეღვუჯამ ჩანჩქერზე ჩაღის ღეროთი წისქვილი გამართა.

დატრიადა წისქვილი, დაფაცურდა ეღვუჯა. მეწისქვილესავით ფხიზლობდა ბიჭი, ეშინოდა, ფოთლები არ გაეჩხიროს ღარში და წისქვილი არ გააჩეროსო.

ამ დროს სამზარეულოდან ბებია გამოვიდა.

ის ბოხლისკენ მიიჩქაროდა. ბებომ ჯოხით გაბომა წყლის სიმაღლე, იფიქრა გადაეცტებოო, გადახტა კიდეც, მაგრამ ცალი ფეხი წყალში ჩაუვარდა. რალაც ჩაიღაპარაკა და გზა განაგრძო.

ეღვუჯას ძალიან შეეცოლა ბებო. მან კედელზე მიყუდებული ფიცარი წელწყვეტით გამოიტანა და გადასასვდელებზე ხიდივით გასდო.

ნახატები ზურაბ ჯანაშიძესა

## რეზო

ოთარ ჯაიჩიანი

მღერის, ცეკვავეს რეზიკო, თხოვნას აღარ გვატლის. მთელი ეზო შეხვარის ამ პატარა უმაწვილს.

მაგრამ ერთი ნაკლიც აქვს, რა ვუშველოთ ნეტავ კერძს მისცემენ, იახის: — შენ მაჭამე, დედა!

## მღებავები


ბიძინა ნიკაუარი

ღია ლებავს ღობეს ალისფრად და ლურჯად, ცილა და ვაჟა ამწვანებენ ქუჩას.

არ ეტყობათ დალლა ცელქებსა და მარდებს, შეიღებნენ თვითონ იმ ღობეზე ადრე.

## ხარი

— ხართ, ხართ, რა გხარო,  
— რას მახარებ, რას?  
— ე-ა-ნ შენი დასახნავი  
ტრაქტორის დაუხნავს.  
— ხეშს საქმეში რად ვრევა,  
წავალ, ავერაგ რქას!



ნუნა კარსელიძე

## ჭინჭარში


ინდურის ჭუგო,  
უნდა გეშეშეშეო,  
მაგე ჭინჭარს რომ სასწლავე,  
არ დაგეწვას სასა!



## ჩემი ძაღლი

ჩემი ძაღლი ბობია,  
ვეყვება ძაღლებს სჯობია.  
შელაგუდა დაფრთხო,  
აგია და დიდგული,  
ის რა იცის შეფიქვამ,  
ბომსე რომ შეგეს მიბმული.

ნახატები ვაჟა მელიქიძევილისა



# მოსკლის ზოიპი

ანა ბეულჰაპარ

იყო ერთი ძუნწი თავუნა. გორაკზე ცხოვრობდა ერთ პატარა სახლში. დადიოდა ხანადიროდ და რაც კი შეხვდებოდა, კბილგაუკრავს არ გაუშვებდა.

ერთ დღეს თავუნამ ტპილი მონიანტა. ოქროსფერმა მზემ უველაფერი დააწოფა: კენკრა, თხილი, ვაშლი და მსხალი. მხიარული შემოდგომის ნიავი ჰქროდა, არხევდა ხეებს და ბუჩქებს, მწიფე ხილი ძირს ცვიოდა.

თავუნამ გამოიტანა თავისი ხელის ურემი, ჩააგორა ბაღში და დატვირთა უველაფრით, რაც შეხვდა: თხილი, ვაშლი, მსხალი. ისე, რომ სხვას არაფერი დაუტოვა. როცა ხელის ურემი გაავსო,



შინისკენ წახვლა დააპირა. დამძიმდა ურემი, და გზა კი სულ აღმართი იყო.

— ჩვენ მოგვხმარებთო!—ჩამოხტა ციყვი ბიდან, ბაყაყიც გამოხტა ბალახიდან, კურდღელი—ბუჩქიდან; ზღარბი გამოხაჯაჯა ბოსტნიდან და ყველას უნდოდა რითიმე მიხმარებოდა, მაგრამ თავუნამ ბრანაინად დაიწვილა:

— არ მინდა თქვენი დახმარება, მე თვითონ წავივლებ!

თურმე შეეშინდა, ცხოველები წილში ჩამიდგებოანო.

ეწეოდა და ეწეოდა, მაგრამ მძიმე იყო ურემი, და—აღმართი კი აღარ იღეოდა.



უცხად ურემი ისევ ქვევით დაგორდა. მაშინ მისცვივდნენ ცხოველები და მიაწუნენ... როდესაც ურემი უკვე წემით აიძანეს, განცვიფრებულმა თავუნამ იციხისა:

- რატომ მომეხმარებ?
- იმიტომ, რომ ეს ტვირთი შენთვის მძიმე იყო!—უპასუხეს ცხოველებმა და წახვლა დააპირეს.

მაშინ შერცხვა თავუნისა. სასწრაფოდ გაშალა სუფრა და ყველა მიიპატიჟა.

ცხოველებმა მხიარულად იჩიემენ მოხვდის დღესასწაული.

(გერმანულ საბავშვო ჟურნალ „ბუმ“-იდან)  
თარგმანი ირ. არღიშვილისა





აღმოსანი რა ზაზაზაჰა

წყნარი ბოჩოლა და ცეცქი თიკანი ღეღამ  
ვზომი ვაუშვად და ზურიკოს გასძახა:  
— მიხედე, შვილო, ბოსტანში არ შე-  
ვიდნენ!

ზურაბი თუთის ხის ძირას ჩამოვდა, ნა-  
ხატებიანი წიგნის ფურცვლა დაიწყო და  
თან თვადი ბოჩოლასა და თიკანზე ეჭირა.

ზურაბი წიგნის ფურცვლით გაერთო. ბო-  
ჩოლამ ზოსტნისაკენ გასწია.

თინიკოც უკან მიჰყვა. ბიჭუნამ გაიხე-  
და და რას ხედავს: ბოჩოლა და თიკანი კომ-  
ბოსტოს მიირთმევენ. ზურიკოც იქით გა-  
იქცა. ჯერ ბოჩოლას აუწია ყური და  
ჰკითხა:

— რომელი შემოხვედით აქ პირველი, შენ  
თუ თიკანი?

ბოჩოლამ თავი გაიქნია და ყური გაი-  
თავისუფლა.

— შენ არა, ხომ? მაშ თიკანი შემოვი-  
და პირველი, არა?—ისევე დაიყვირა ზური-  
კომ და ახლა თიკანს ეცა ყურში.

— მეფე!—მორთო ყვირილი თიკანმა.

— შენ, ხომ, — გაბრაზდა ზურიკო—აი,  
შენ, ამისათვის!—უთხრა მას და ზურგზე  
წკეპდა გადაარტყა.

დამწავე ბოჩოლა თუთის ხისაკენ გა-  
მობრუნდა და ნანობდა, რატომ შე არ დავი-  
ძახე „მეო“.



ჯანსუღ ნიპაპაჰა

# ერთი კვერცხი



— კაა, კაა!—დილიდან  
რომ სკვიკვლ კაკანით,  
კვითხარ, რა მოგივიდა?  
თქვი, რა მოხდა ამკვარო?

— კეე, — კვერცხი დავუკვი!—  
— კარგი, მაგრამ რაქდენი?—

— ერთი ჩემო ბატონო...  
— სუ, შე მართლა მკვესარა!  
— ერთი კვერცხის გულისთვის  
მესძარ მთელი ქვეყანა?!

# გართობა

პირობები გულაშვილი



ბიჭი ჯერ პატარა იყო, მაგრამ თავისი სამუშაო კი უკვე ჰქონდა. საბარგულიან მსუბუქ ავტომანქანაში მძღოლს გვერდით უჯდა და დიდი სახლის მცხოვრებლებს დილაობით რძეს უზიდავდა ხლდმე.

მერძევე, როგორც სასურვედი სტუმარი, ამ სახლში ყველა უყვარდა.

დილით, ერთ-ერთ კარზე ქინძისთავით მიბნეული ბარათი დახვდა ბიჭს: „ბიჭიკო, გენაცვალე, რძე მეზობელთან დატოვე“.

მერძევეს გული სიხარულით აეგვს. ამ კარს ყოველ დილით ზარის დარეკვაზე მკერდზე ბავშვმისუტებული, ახადგაზრდა ქალი უღებდა ხლდმე და მადლიანად უღიმოდა. ეს გულბილი ბარათიც ცხადია, მას ეკუთვნოდა. ქაღმა არ იცავდა, რა ერქვა ბიჭს, მაგრამ სახედი შეხანიშნავად მოუძებნა — „ბიჭიკო“.

ბიჭუნამ რძე მეზობელს მიაბარა და ხალისიანად ჩაიბრინა კიბე, კმაყოფილი იყო, რომ იმ კეთილ ქალს თხოვნა შეუსრულდა.

ბიჭს ერთი სული ჰქონდა, სანამ მეორე დილით სათნო ქალი რძეს აუტყუნცულებდა და ქაღიც მადლობის ნიშნად გაუტყინებდა.



# სკოლის



შეიღვინა ნ. მისხიძე

რედაქტორი უანსულ ჩარკვინიანი, ხარედაქცოთ კოლეგია: ბ. მემბეძორი, ძ. მოვიანოვილი, ჯ. ლოლუა, შაპა. მამვილიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხაღაძე (სამხატვრო რედაქტორი), რ. ზვიზვილი.

საქართველოს ალტ. ცენტრალური კომიტეტებისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს კურნალი

ყდაზე: „სკოლისაკენ“ — ნახატი ჯ. ლოლუასი შიკეთ. მღ. აშოტაძისა ტიპრედაქტორი ბ. როინიშვილი

გამოცემის ოცდამეექვსმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამოცემა „სტალინული“, გამომც. შვე. № 905, სტამბის შვე. № 1853, ტიპაჟი 30000, ბელმორგროლია დასაბუქდალ 6/VII-1963 წ. ეურალი დაბეჭდილია პოლიგრაფულ კომპინატ „კოპნესტში“, ლენინის ქ. № 14 „ლინა“ ნა გრუკინკომ ლიხე. თბილისი, პროს. Plekhanova № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პარკი. № 91, ტელ. 5-37-38.

ზაცი 20 აბა.

ბ 40/246

საქართველო  
საბავშვო ჟურნალი

ИНДЕКС  
76055



ჯანსაღ ჩარკვიანი

# სკოლისაკენ

საქართველო საყვარელი  
 გნახეთ კილით კიდემდე,  
 ვენახები და ყვანები  
 სულ ერთმანეთს მისდევდნენ.

ახლა სკოლებს ვუბრუნდებით,  
 სკოლა ჩვენი ოჯახია...  
 — სულ ხუთები, სულ ხუთების  
 დიდი მთები მოგვცახიან.

ელმავალი მოგრიალებს,  
 დამეს თვალებს უბრიალებს...  
 გაუმარჯოს ოთხიანებს,  
 გაუმარჯოს ხუთიანებს!

ხუთი, ხუთი, ხუთი, ხუთი,  
 ხუთიანებს, ხუთიანებს!..

ნახატი ჯ. ლოლუასი

